



**დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება**



განკარგულება:გ-109. 109231094

თარიღი:19/04/2023

**დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „დგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, დანართების თანახმად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების

წლიური ანგარიში

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახადების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (20%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები				
დასახელება	2022 წლის გეგმა		2022 წლის საკასო შესრულება	
	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
შემოსავლები	22932,6	6542,0	22609,0	5770,2
გადასახადები	11440,0	0	11648,2	0
გრანტები	8162,6	6542,0	7327,5	5770,2
მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები	6542,0	6542,0	5770,2	5770,2
სხვა შემოსავლები	3330,0	0	3633,3	0
ხარჯები	14001,5	969,3	12641,2	933,4
შრომის ანაზღაურება	2676,5	81,3	2671,9	81,3
საქონელი და მომსახურება	3265,2	609,3	2846,8	573,4
ძირითადი				

პროცენტი	31,0	0	27,5	0
სუბსიდიები	3137,8	61,7	3090,0	61,7
გრანტები	3230,0	0	2400,3	0
სოციალური უზრუნველყოფა	977,1	1,0	967,9	1,0
სხვა ხარჯები	683,9	216,0	636,8	216,0
საოპერაციო სალდო	8931,1	5572,7	9967,8	4836,8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	16687,3	7087,3	11722,5	4923,6
ზრდა	17137,3	7087,3	12175,6	4923,6
კლება	450,0	0	453,1	0
მთლიანი სალდო	-7759,0	-1514,6	1754,7	-86,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	-7814,6	-1514,6	-6022,0	-1422,0
ზრდა	7814,6	1514,6	0	
კლება	0	0	6022,0	1422,0
ვალდებულებების ცვლილება	-55,6		-55,6	0
ზრდა				
საგარეო				
საშინაო				
კლება	55,6		55,6	0
საგარეო				
საშინაო	55,6		55,6	0
ბალანსი	(0.00)	-	0.00	(0.00)

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები

2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 7850978 ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავლების ნაშთი 6332930 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული გრანტები 1518047 ლარი, საიდანაც ხარჯების დასაფარავად მიმართული იქნა 7814,6 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 6300,0 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები 1514,6 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

დასახელება	2022 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	23382,6	23062,1	98,6
შემოსავლები	22932,6	22609,0	98,6
არაფინანსური აქტივების კლება	450,0	453,1	100,7
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)			
ვალდებულებების ზრდა			
გადასახდელები	31197,2	24872,3	79,7
ხარჯები	14001,5	12641,2	90,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	17140,1	12175,5	71
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)			
ვალდებულებების კლება	55,6	55,6	100
ნაშთის ცვლილება	-7814,6	-1810,2	

ნაშთის ცვლილება


დასახელება	სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ნაშთი წლის დასაწყისში	7 850978	6,332930	1518048
შემოსულობები	23062180	17292007	5770173
შემოსავლები	22609051	15281532	5770173
არაფინანსური აქტივების კლება	453129	453129	0,000
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,000	0,000	0,000
ვალდებულებების ზრდა	0,000	0,000	0,000
გადასახდელები	24872388	19015419	5856969
ხარჯები	12641242	11707912	933330
არაფინანსური აქტივების ზრდა	12175545	7251906	4923639

ვალდებულებების კლება	55600	55600	0,000
ნაშთი წლის ბოლოს	6,040770	4609518	1431252
ბალანსი			0,000

2022 წელს ფულადი სახსრების (ნაშთის) გამოყენებამ შეადგინა 1810,2ათასი ლარი,

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 23382,6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23062,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 98,6%.




I შემოსავლები


მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 22932,6 ათასი ლარი, ფაქტიურად 22609,0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 98.6% და მთლიანი შემოსულობების - 98% შეადგინა.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1594,3 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 977,9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე

ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი -1611.9ათასი ლარი) შედარებით 17,ნათასი ლარით ნაკლებია შემოსავალი მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის.



დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 10053.9 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 7440,5ათასი ლარი) შედარებით 2613,4ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებულია.



II გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 7327,5 ათასი ლარი, მათ შორის: მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი გრანტი ქ.დმანისში წმ.ნინოს ქ.N41-ის მიმდებარე ტერიტორიის და თავისუფლების ხეივნის რეაბილიტაციისათვის „განახლებული რეგიონები“ დაიხარჯა -1557,4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 663,3 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური, სპეციალური ტრანსფერი) – 5106,8 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტში კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციისათვის, ქ.დმანისში და გომარეთში შიდა გზების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა, გომარეთის,სარკინეთის ქ.დმანისში N3 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, სოფელ კიზილაჯლოს რეზერვუარისა და წყალსადენის რეაბილიტაცია,სოფელ დაგარახლოს წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია,სოფელ იფნარის მაგისტრალური ხაზის და შიდა ქსელის და ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებისათვის, სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობა სოფელ ბოსლებში სკვერის მოწყობა და სოფელ მაშავერაში,რიტუალების სახლიდან სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

III სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული იყო 3330,0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ 3633.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 109%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი –5141,9ათასი ლარი) შედარებით 1508.6 ათასი ლარით ნაკლებია შემოსავალი მიღებული, რაც ძირითადად შემცირებულია მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობიდან 1572,6 ათასი ლარის ოდენობით (3503,4-1930,8) და რენტის სახით მიღებული მოსაკრებელი და მიწის საიჯარო ქირის გადასახადიდან შეადგინა 2400,3 ათასი ლარი,

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 338.6 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (251.9ათასი ლარი) შედარებით 86.7ათასი ლარით მეტია შემოსული.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 27.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (15.0 ათასი ლარი) 183.3%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 7,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (4.0 ათასი ლარი) 190%-ია.


სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 2.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1.0 ათასი ლარი) 220%-ია.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 17.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,0 ათასი ლარი) 177%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (8.0ათასი ლარი) შედარებით 9.7ათასი ლარით მეტია.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 178,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (150.0 ათასი ლარი) 119,1%-ია და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (72.0 ათასი ლარი) შედარებით 106.7 ათასი ლარით მეტია.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 667,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (550,0 ათასი ლარი) 121,4%-ია. მათ შორის: წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 406,2 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 258,6 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 3,0 ათასი ლარი.



არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 453.1 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 101.1 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 352.1 ათასი ლარი.



ფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრულია 6022.0 ათასი ლარით.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2022 წელს გადასახდელების შესრულების 79.7%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის (68.2%) ტოლია, ხოლო თანხობრივად (2021 წელთან შედარებით) დახარჯულია 9161,5 ათასი ლარით მეტი (24872.4-15710.9)



2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 31197.2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 24872.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79.7%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14001.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 12641.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.3%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 50.8%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17140.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 12175,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის 71%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 49 %-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 55.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 55.6

ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100% ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.4%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2676.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2671.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 10.7%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 3265.3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2846.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.2%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.4%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 31.0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 27.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.7%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.1%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3137.8 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3090.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 12.4%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 827.3 ათასი ლარი;

➤ დასუფთავების ღონისძიებები - 956.9 ათასი ლარი;

სპორტული ღონისძიებები - 110.9 ათასი ლარი.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3230.0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2400,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 74.3%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 9.6%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით ძირითადად დაფინანსებული იქნა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილ თანხაზე 15%-ის ფარგლებში დამატებული მუნიციპალიტეტის წილობრივი თანადაფინანსება.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 977.1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 967.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.1%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3.9%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

➤ სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები 472.9 ათასი ლარი; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - 6.3 ათასი ლარი;

➤ სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 346.5 ათასი ლარი

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 683.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 636.8 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 93%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 2.6%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:


- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - რეკონსტრუქციის და სტიქიით დაზიანებული შენობების გამაგრების სამუშაოები - 216.0 ათასი ლარი.
- სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელთა ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული მოსწავლეების წახალისების ღონისძიებები - 31.6 ათასი ლარი.

დასახელება	2022 წლის გადასახდელების შესრულება		
	გეგმა	საკასო შესრულება	პროცენტი
ხარჯები	14,001,513	12,641,242	90.3
შრომის ანაზღაურება	2,676,500	2,671,855	99.8
საქონელი და მომსახურება	3,265,240	2,846,843	87,2
პროცენტები	31000	27,547	88,7
სუბსიდიები	3,137,800	3,090,016	98,5
სოციალური უზრუნველყოფა	977,050	967,890	99.1
სხვა ხარჯები	683.923	636,832	93,1
არაფინანსური აქტივების ზრდა	17,140,120	12,175,545	71
ვალდებულებები	55,600	55,600	100
სულ გადასახდელები	31,197,233	24,872,387	79,7

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლების ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში)		
დასახელება	2022 წელი	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4208,3	17
თავდაცვა	114,5	0,5
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	0	0

ეკონომიკური საქმიანობა	2665,9	10,7
გარემოს დაცვა	987,7	4
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	12643,3	51
ჯანმრთელობის დაცვა	73,7	0,3
დასვენება და კულტურა	1397,3	5,6
განათლება	1513,3	6,1
სოციალური დაცვა	1212,8	4,8
სულ ხარჯები (ვალის დაფარვის გამოკლებით)	24816,8	100



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება:

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4378.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4481.2 ათასი ლარი) 91,8%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 17,6%-ს შეადგენს. მათ შორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 4295,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (4375,3 ათასი ლარი) 93,8%-ია;

✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 55.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 83,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (105,9 ათასი ლარი) 78,6%-ია.

■ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 4313,5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2665,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 61,8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 10,7%.

■ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1027,9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 987,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96,1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 4%. მათ შორის:

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება 956,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (967,9 ათასი ლარი) 98,9%-ია;

■ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 16988,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 12643,4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 74,4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 50,8%. მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 2699,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (3672,3 ათასი ლარი) 73.5%-ს შეადგენს;

✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 3516.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (5431,8 ათასი ლარი) 64,7%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 1037,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1114,3 ათასი ლარი) 93,1%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 5389,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (6769,5 ათასი ლარი) 79,6%-ს შეადგენს.

■ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 73,7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 73,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური 100%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0,3%. მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 73,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (73,7 ათასი ლარი) 100%;

■ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1437,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1397,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97,2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 5,6%. მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა

334,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (350,0 ათასი ლარი) 95,5%;

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 993,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1016,8 ათასი ლარი) 97,7%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 70,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (70,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 1637,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 1513,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92,4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 6,1%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 827,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (848,8 ათასი ლარი) 97,5%-ს შეადგენს;

✓ საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსებამ შეადგინა 102,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (103,7 ათასი ლარი) 98,6%-ს შეადგენს;

✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების-საჯარო სკოლების დაფინანსებამ შეადგინა 583,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (685,2 ათასი ლარი) 85,2%-ს შეადგენს;

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1238,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1212,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 4,9%. მათ შორის:

✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 346,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (350,0 ათასი ლარი) 99%-ს შეადგენს;

✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 479,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (480,0 ათასი ლარი) 99,8%-ს შეადგენს;

✓ მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 102,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%.

✓ ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 102,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (122,8 ათასი ლარი) 83,5%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 182,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (183,3 ათასი ლარი) 99,7%-ს შეადგენს.

სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 185,8 ათასი ლარიდან გადარიცხულია 173,9 ათასი ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 16,6 ათასი ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 16,8 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიებები) ხარჯების

დაკავშირებით 20 აზერბაიჯანელ ოჯახზე სასაჩუქრე კალათების გადაცემისათვის -2,8 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის ღონისძიებების განსახორციელებლად ორგანიზაციების ხელშეწყობა - 17,0 ათასი ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, მიწისძვრა, ქარის და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების და დამწვარი თივის ზვინების და სხვა ხარჯები -61,9 ათასი ლარი, საახალწლო დღესასწაულის დადგომასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სასაჩუქრე კალათების და ნობათების შექმნისათვის -24,3 ათასი ლარი, უკრაინის ჰუმანიტარული დახმარებისათვის პლედების ორცხოვლების შესაძენად 12,9 ათასი ლარი

2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ		
ორგანიზაციული კოდი	დასახელება	გადახდა
010102	მუნიციპალიტეტის მერია	57,3
00	ჯამი	57,3
2.8	სხვა ხარჯები	57,3
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	57,3
06 02 07	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	116,7
00	ჯამი	116,7
2.7	სოციალური დაცვა	116,7
2.7.2.1	სოციალური დახმარებები	116,7

აქ შეგვიძლია დავურთოთ ცხრილი სადაც მოცემული იქნება მერის ბრზანების ჩამონათვალი:

2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ				
N	ბრზანების თარიღი და ნომერი	შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი თანხა	გადარიცხული თანხა
1	02-15 მარტი 2022 წელი N108220611	უკრაინის ჰუმანიტარული დახმარებისათვის პლედების და ორცხოვლების შექმნა.	10 000	9935,00
2	22.03.2022წ. N 108220814	სასკოლო მზაობის ქაეთული და აზერბაიჯანული წიგნების პირველ კლასელთათვის საჩუქრად გადასაცემად.	4900	4900

სულ		15275	15210
-----	--	-------	-------

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიმართული სახსრები

2022 წელს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გამოყოფილი იქნა 5,0 ათასი ლარი, რაც ფაქტიურად არ დაფინანსებულა.

სესხების მომსახურება და დაფარვა სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 83,1 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (86,6 ათასი ლარი) 96%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 27,5 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 55,6 ათასი ლარი.

აღნიშნული წარმოადგენს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდთან მუნიციპალიტეტში ნაგვის გადაზიდვისთვის განკუთვნილი მანქანებისთვის 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვას.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები								
N	კრედიტორის დასახელება	სულ სესხის ოდენობა 01.01.2022 წლის მდგომარეო ბით	2022 წელს დაფარუ ლი სესხი	სულ დარჩენი ლი დავალიან ება 01.01.2023 წლის თვის	მ.შ 2023 წელს გადასახდ ელი სესხის თანხა	სესხის აღების მიზანი	სესხ ის %	სესხის დაფარვის საბოლოო თარიღი
1	მუნიციპალური განვითარების ფონდი	250,2	55,6	194,6	55,6	ნაგვის მანქანე ბის შესყიდა ვ	20,0	2026 წლის 28.04.


საანგარიშო პერიოდში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული და გადარიცხული გრანტები პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით

ორგანიზაც. კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ხარჯი	სხვაობა	შესრულება %
--------------------	------------	-----------------------	-----------------------	---------	----------------

	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან გამოყოფილი გრანტები [1]				
0	ჯამური				
020102	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	2,979,821	1,993,615	986206	66.9
020202	სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა- რეაბილიტაცია	1 070,949	766,765	304184	71.6
020401	ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია	1,533,640	1,231,379	302261	80.3
020402	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია	370,000	370,000	0	100
020501	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაცია	400,792	120,224	280,568	30
0403	საჯარო სკოლების დაფინანსება	685166	583749	101417	85.2

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ❖ ინფრასტრუქტურა - 15309,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (21301,5 ათასი ლარი) 71,9%-ია;
- ❖ განათლება 1513,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (1637,7 ათასი ლარი) 92,4 %-ია;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი 1397,3 ათასი ლარი რაც გეგმის (1437,3 ათასი ლარი) 97,2%-ია;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1286,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (1311,7 ათასი ლარი) 98.1%-ია;
- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 4378,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (4481,2 ათასი ლარი) 97,7%-ია.
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 987,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (1027,9 ათასი ლარი) 96,1%-ია.



1. ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის (02 01) 2022 წელს გამოყოფილი იქნა 4313.5 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 2665.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 61.8%-ია.

2022წლის განმავლობაში,დმანისის მუნიციპალიტეტში დაიგო გზები, აღნიშნული პროექტების ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე არხები, საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებმა და ვიზიტორებმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- სოფელ გომარეთის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია 740 გრძ.მ;
- ქ.დმანისში კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია 418 გრძ.მ;
- სოფელ მამავერაში რიტუალების სახლიდან სკოლამდე მისასვლელი გზის მოწყობა-385 გრძ.მ;
- ქ.დმანისში ქეთევან დედოფლის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღთან საცალფეხო ხიდის მოწყობა;
- სოფელ საკირეში შიდა გზის რეაბილიტაცია 1000 გრძ.მ;
- სოფელ ამამლოში საცალფეხო ხიდის მოწყობა;
- სოფ.ტნუსში მდინარე მამავერაზე გოლგოთას მონასტერთან მისასვლელი გადასასვლელი ხიდის მოწყობა;
- სოფ.ვარდისუბნიდან სოფ.მამავერამდე ქვეითად მოსიარულეთა გზის მოწყობა;
- სოფ.ჯავახში სანიაღვრე არხების მოწყობა.
- სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების,საგზაო სარკეების და რკინის პარაპეტების მოწყობა.
- სოფელ უსეინქენდის-სალამალიქის-მამიშლარის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-620 გრძ.მ

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
--	-------	------------------------------------

პროგრამის გამახორციელებელი		ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განვითარების სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის ფართობი დღეის მდგომარეობით შედგენს. საგზაო სტანდარტებს აკმაყოფილებს მხოლოდ 50 პროცენტი, მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთიანი მოცულობის 20 პროცენტის მშენებლობა რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს, ზამთარში მარილის მოყრას, ასევე გზების დაზაზვა, შუქნიშნების მონტაჟი და სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების მოწყობა				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება, შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა	მიღწეული შედეგი	ინფრასტრუქტურა გამართულად ფუნქციონირებს, ტრანსპორტი და მოსახლეობა შეუფერხებლად გადაადგილება, შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა, განხორციელდა როგორც საპროექტო სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შესყიდვა პროექტებზე ასევე 4 მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება	
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	რეაბილიტირებული გზები, სტანდარტების შესაბამისად	30%	50%	40%	20	
2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	არ გვაქვს	30%	არ გვაქვს ინფორმაცია	2021 წელს დაგეგმილი მოსახლეობის გამოკითხვა პანდემიის გამო ვერ განხორციელდა	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	02 01 01	გზების მოვლა შენახვა
---	----------	----------------------

ქვეპროგრამის გამახორციელებელი		ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული. პროექტის მიზანია განხორციელდეს გზის დაზიანებული საფარის ორმოული შეკეთება, ასევე წლის განმავლობაში დაზიანების შემთხვევაში ოპერატიულად განხორციელდეს გზის სავალი ნაწილის მონიშვნა ნიშანსადაც საღებავით, მიწის ვაკისის მოშანდაკება ავტოგრეიდერით, ბზარების ამოღება ა/ზ ნარევით, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღულდელი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა.				
დაგეგმილი შუალედური შედეგი		გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება	მიღწეული შედეგი	955 მ3 ორმოული შეკეთება ცხელი ასფალბეტონით 5-7 სმ სისქით, ფრაქციული ღორღით გზების მოხრეშვა, გაბიონების მოწყობა არმირებული ბეტონის მილის მოწყობა დ=1 მ დიამეტრის 6გ/მ, 1136მ2 გზის ორმოული შეკეთება		
				მონიშვნა, გზებზე 233,25 ტონა ქვიშა მარილის მოყრა.		
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება	
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	მოსაველი გზის საფარის რაოდენობა მ 2	არა გვაქვს	2892 მ2	955 მ2	67	ხელშეკრულება შეწყდა ცალმხრივად მერიის ინიციატივით.

ბ) წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის რეაბილიტაცია და ახალი წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფა;

2022 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე სამუშაოების დასრულების შემდეგ ბენეფიციარები მიიღებენ აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელს:

- სოფელ კამარლოში ახალი რეზერვუარის მოწყობა 300 მ³,
- სოფელ ირგანჩაიში სამარაგო რეზერვუარის მოწყობა 500 მ³;
- სოფელ კიზილაჯლოს რეზერვუარისა და წყალსადენის რეაბილიტაცია 150 მ³;
- სოფელ დაგარახლოშწყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 300 მ³;
- სოფელ ქვემო კარაბულახის წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- დაწყებულია დმანისის მუნიციპალიტეტის 19 სოფელში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- სოფელ იფნარის წყლის სისტემების მაგისტრარულიხაზის, ახალი რეზერვუარის და შიდა ქსელის და ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების 4600 მეტრის მილსადენის და რეზერვუარის 230 მ3 მოწყობა
- სოფელ ვარდისუბნიდან სოფელ მამავერის მიმართულებით საცალფეხო ბილიკისმოწყობის სამომავლოში 167 არ.მ.მ.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყლის სისტემების ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	წყლების მოვლა-შენახვა
02 02 01		პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქალაქ დმანისსა და 5 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 12 სოფელს ემსახურება შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელიც ახორციელებს სასმელი წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდას, სასმელი წყლის რეზერვუარების გაწმენდასა და სპეციალური ხსნარით დაქლორვას, ასევე დაზიანებული ხაზების აღდგენას.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დანარჩენ 10 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას. აღნიშნულ წყლის სისტემებს, მათ შორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ ჭაბურღილებს ემსახურება ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დაზიანებული წყლის სისტემების აღდგენა და მოვლა-შენახვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - შწყობრიდან გამოსული წყლის მიღების შეკეთება და გამოცვლა, სასმელი წყლის ბასეინების გაწმენდა-დაქლორვა. <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები, რომელიც გაიცემა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით.</p>	
	საბოლოო შედეგი	<p>ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, წყლის სისტემების გაუმართაობის დროული აღმოფხვრა და უწყვეტ რეჟიმში ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.</p>	

ბ.ბ) სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყლის სისტემების მშენებლობა	სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
02 02 02		პროგრამის განმახორციელებელი	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში სოფლების წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. საჭიროებისამებრ ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა და ახლის მშენებლობა.</p> <p>საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება:</p> <p>*სოფელ იფნარის მაგისტრალული ხაზის, ახალი რეზერვუარის, შიდა ქსელის და ჭაბურღილის მოწყობისთვის- 102,6 ათასი ლარი.</p> <p>*სოფელ დაგარახლოში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე - 15,5 ათასი ლარი.</p> <p>დმანისის მუნიციპალიტეტის ქ.დმანისში და 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის და სათავე ნაგებობების მშენებლობისათვის 15%-იანი თანადაფინანსების სახით გამოყოფილი 3105,0 ათასი ლარი.</p>	
	მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება</p>	

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	14	6	4	33,4	2023წელს მიმდინარეობს

გ) -ქ.დმანისში წმინდა ნინოს ქუჩის და 9 აპრილის ქუჩის ნაწილის გარე განათების მოწყობის სამუშაოები შესრულდა 4285 გრძ.მ და მოეწყო 138 ცალი ბოძი.

-სოფელ გუგუთის გარე განათების მოწყობაზე 2400 გრძ.მ და მოეწყო 67 ცალი ბოძი

გ) გარე განათება

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება
02 03		
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართულ გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო პროექტები. დღეის მდგომარეობით დამანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ დამანისში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტებში). გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 70%. გარე განათების ქსელი მოიცავს 3441 ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 3441-ზე მეტ სანათ წერტილს, 30514 გრძივ მეტრზე სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათას ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურის ხასიათის, ასევე მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას (მათ შორის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია, კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში. ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში- მრავალწლიანი. ექსპლუატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან და კაპიტალური დანახარჯებიდან. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.
მოსალოდნელი შედეგი		<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი	მიღწეული შედეგების ინდიკატორი	
--------------------------------	-------------------------------	--

ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	განმარტება
ბენეფიციართა რაოდენობა	4	2	2	0	

გ.ა) გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)
02 03 01		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ დმანისის კომუნალური სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 4 070 სანათი წერტილის გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 7 საშტატო ერთეულის ხელფასები.
მოსალოდნელი შედეგი	გარე და დეკორატიული განათების სისტემაში პერიოდულად შექმნილი შეფერხების დროული აღმოფხვრა განათების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტის რაოდენობა	4	2	2	0	

გ.ბ) გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი	ელექტრო ენერჯის ხარჯი
02 03 02			

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება, სანათების რეაბილიტაციის და კონტროლის ხარჯზე ერთი სანათის მიერ დახარჯული კილოვატსაათი ელექტრო ენერჯის შემცირება, რაც შესაბამისად გამოიწვევს ხარჯის შემცირებას.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი	მიღწეული შედეგების ინდიკატორი
--------------------------------	-------------------------------

ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	განმარტება
ბენეფიციართა რაოდენობა	450.0	550.0	478.8	13	

გ.გ) კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში.

კოდი 02 03 03	ქვეპროგრამის დასახელება კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	კაპიტალური დაბანდებები
------------------	--	------------------------

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება/ გაუმჯობესების ღონისძიებებს, როგორც არის გარე განათების სისტემების მოწყობა, ახალი სანათი წერტილების დამატება, გარე განათების ახალი თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა მუნიციპალიტეტის უბნებში და სხვა. ხანგრძლივობის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი (ძირითადად სოფლის პროგრამა).
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტის რაოდენობა	4	2	2		დასრულდება პროექტი 2023 წელს

დ) ბინათმშენებლობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია
02 04		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო ქალაქ დმანისში არსებული მრავალბინიანი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაციას; ასევე გათვალისწინებული იქნება ავარიული ობიექტების და შენობის აღდგენა-რეაბილიტაცია, რითაც თავიდან ავიცილებთ მოზინადრეთა უსაფრთხოების ამაღლებას. პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 30 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან ქალაქ დმანისში არის 23 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აღნიშნული სახლების 95%-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. სახურავის რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქ დმანისის 22 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, რარჩინილია მხოლოდ ერთი სარეაბილიტაციო სახურავი. სოფლებში არსებული

	რეაბილიტაციას.
პროგრამის მიზანი	მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
ბენეფიციართა რაოდენობა	16	14	12	14,3 %	

დ.ა) ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია
02 04 01		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების კეთილმოწყობა
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, სახურავების შეცვლა/შეკეთება, ფასადის რეაბილიტაცია, ცენტრალური გათბობის მოწყობა და სხვა.</p> <p>საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსებაზე სულ 56,1 ათასი ლარი ,მათ შორის: სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობაზე 56,1 ათასი ლარი.</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
ბენეფიციართა რაოდენობა	16	14	12	11,2 %	2023 წელს დასრულდება.

ე) კეთილმოწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობის ღონისძიებები საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა -რეაბილიტაცია
02 05		

პროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
----------------------	--

პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის ადდგენა, საფეხმავლო გზებზე დაზიანებული ბორდიურების და ფილების ამოცვლა, ქალაქში ხიდებზე მოაჯირების და ბორდიურების შედგება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწესრიგება პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების დაგართობის ადგილების შექმნა, შედეგად კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი დამოსახლობას აქვს დასვენების და გართობის ზონა.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	9	18	16	11,2 %	2023 წელს მიმდინარეობს დასრულება

ე.ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაცია

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია

